საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2034-03
30/09/2021

რექტორის 2018 წლის 12 მარტის N983-03 ბრძანებაში ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე სტუდენტებისთვის გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირების წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტის საფუძველზე და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსის 2021 წლის 30 სექტემბრის N11183-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. შევიდეს დამატება რექტორის 2018 წლის 12 მარტის N983-03 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებულ ,,ილია სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირების წესსა და პროცედურებში“ და პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეოთხე პუნქტი:

,, 4. გაცვლითი სტუდენტების შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის წინაპირობები, ისევე როგორც აპლიკანტების შეფასების, შერჩევისა და ნომინირების წესებისა და პროცედურების მოდიფიცირება შესაძლოა მოხდეს კონკრეტული პარტნიორი უნივერსიტეტის მოთხოვნის შესაბამისად“.

2. შევიდეს ცვლილება რექტორის 2018 წლის 12 მარტის N983-03 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებულ ,,ილია სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირების წესსა და პროცედურებში“ და 2.1. პუნქტის ,,ბ[1]“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბ[1] . კონკურსანტს მშობლიური უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ვადების დაცვითა და პირობებით უნდა ქონდეს წარმოდგენილი ყველა სავალდებულო დოკუმენტი, რომელიც მითითებულია უნივერსიტეტის მიერ გამოქვეყნებულ საკონკურსო განცხადებაში. კონკურსანტს განაცხადში არჩევანი შეუძლია გააკეთოს მაქსიმუმ ხუთ მასპინძელ უნივერსიტეტზე. მასპინძელი უნივერსიტეტების ჩამონათვალი კონკურსანტმა უნდა დაალაგოს მისთვის პრიორიტეტულობის მიხედვით. მაქსიმუმ ხუთი მასპინძელი უნივერსიტეტის შერჩევის წესი ვრცელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ ადმინისტრირებულ ნებისმიერი გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ერთი და იმავე აკადემიურ სემესტრში გამოცხადებულ კონკურსზე(მათ შორის მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებული).“

3. შევიდეს ცვლილება რექტორის 2018 წლის 12 მარტის N983-03 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებულ ,,ილია სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის გაცვლითი

საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირების წესსა და პროცედურებში“ და 2.4. პუნქტის მე-2 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. შეფასება ხდება 0-80-ქულიანი სისტემით შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:

ქულათა განაწილება
• **უცხო ენის ცოდნის დონე _ 40 ქულა** • **აკადემიური მოსწრება _ 40 ქულა (გათვალისწინებული იქნება სტუდენტის მიერ დასრულებული ყველა საფეხურის და/ან სემესტრის საშუალო შეფასება; მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტების შემთხვევაში, გათვალისწინებული იქნება მიმდინარე და ბოლოს დასრულებული საფეხურის** **აკადემიური მოსწრების საშუალო მაჩვენებლები და თითოეულს მიენიჭება თანაბარი წილი.)**

4. შევიდეს ცვლილება რექტორის 2018 წლის 12 მარტის N983-03 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებულ ,,ილია სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირების წესსა და პროცედურებში“ და 2.6. პუნქტის 2^1 ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარი:

,,2^1. კონკრეტულ მასპინძელ უნივერსიტეტში სტუდენტის ნომინირების შემდეგ მისი კანდიდატურა აღარ განიხილება მის მიერ განაცხადში მითითებულ სხვა უნივერსიტეტებში ნომინირებისთვის. აღნიშნული ვრცელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ ადმინისტრირებული ნებისმიერი გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ერთი და იმავე აკადემიურ სემესტრში გამოცხადებულ კონკურსზე(მათ შორის მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებული).“

5. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებისა და წესის კონსოლიდირებული ვერსიის(დანართი) უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება.

6. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს აღნიშნული ცვლილებისა და მის საფუძველზე კოდიფიცირებული წესის უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის გაცნობა.

7. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს მიაწოდოს ბრძანება უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლებს, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ადმინისტრაციის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს, იურიდიულ სამსახურს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

გიგა ზედანია

რექტორი